საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

finedu

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში

ტრენინგი მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის

III დღე

საქართველოს ეროვნული ბანკი

2024

წინა დღის გახსენება

როგორ შეაფასებდით გუშინდელ ტრენინგს?

რას ელოდებით დღეს?

ტრენინგის დღის წესრიგი

21 ივნისი - 15:00-17:40 სთ

საკითხები - III დღე

- დაზღვევა
- მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობა

შესვენება

- **შესვენება -** 16:20 – 16:35 სთ

საკითხი 4:

დაზღვევა

დაზღვევა

თემატური საკვანძო შეკითხვები

- როგორ დაგვეხმარება დაზღვევა ფინანსური რისკების თავიდან არიდებაში?

თემატური მკვიდრი წარმოდგენები

- დაზღვევა გვეხმარება ფინანსური რისკების შემცირებაში ან თავიდან არიდებაში.

ქვესაკითხები:

- ყოველდღიურობაში არსებული რისკები.
- როგორ მუშაობს დაზღვევა?
- დაზღვევის ტიპები.
- დაზღვევის ხელშეკრულება.

დაზღვევა

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები შეისწავლიან ყოველდღიურობაში არსებულ რისკებს.
- მოსწავლეებს ესმით, რომ დაზღვევას შეუძლია მათი დახმარება ფინანსური რისკების შემცირებასა ან თავიდან არიდებაში.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებს შეუძლიათ გაანალიზონ სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი რისკები და შეაფასონ დაზღვევის მნიშვნელობა;
- მოსწავლეებს შეუძლიათ აღწერონ დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები, მათი უფლებები და პასუხისმგებლობები;
- მოსწავლეები იცნობენ სადაზღვევო პოლისს და შეუძლიათ შეადარონ დაზღვევის შემოთავაზებები;
- მოსწავლეებმა იციან, როგორ იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებებს სადაზღვევო პროდუქტის შეძენასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი ცნებები: დაზღვევა, რისკი, სოლიდარული საზოგადოება, პირადი დაზღვევა, ქონების დაზღვევა, პასუხისმგებლობის დაზღვევა, მზღვეველი, დაზღვეული, დაზღვევის ხელშეკრულება, სადაზღვევო პოლისი, სადაზღვევო პრემია.

დაზღვევა

ყოველდღიურობაში არსებული რისკები

რისკი
არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობა

დაბალი რისკები	საშუალო - დამაზიანებელი (კრიტიკული რისკები)	მაღალი - განმანადგურებელი რისკები
ფინანსურ შედეგებთან გამკლავება განსაკუთრებული პრობლემების გარეშეა შესაძლებელი	რისკების შედეგები დაძლევადია, თუმცა ზიანის დადგომის შემთხვევაში შინამეურნეობის კეთილდღეობა და ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება.	ფინანსური ზარალი იმდენად დიდია, რომ შინამეურნეობა ვეღარ უმკლავდება მას.

დაზღვევა

რაში გვეხმარება დაზღვევა?

დაზღვევა
ფინანსური ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დაგიცვათ თქვენ, თქვენი ოჯახი ან თქვენი ბიზნესი გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯებისაგან.

დაზღვევის დახმარებით შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.

დაზღვევა

როგორ მუშაობს დაზღვევა?

დაზღვევა არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია აგინაზღაურებთ შესაბამის ზიანს.

აზღვევს რისკებისგან, გადასცემს სადაზღვევო პოლისს და ხელშეკრულებას

მზღვეველი
(სადაზღვევო კომპანია)

დაზღვეული
(ფიზიკური ან იურიდიული პირი)

იხდის სადაზღვევო პრემიას, ანუ ფულად შენატანს

დაზღვევა

დაზღვევის ტიპები

პირადი დაზღვევა

- ჯანმრთელობის დაზღვევა
- სიცოცხლის დაზღვევა
- სამოგზაურო დაზღვევა

ქონების დაზღვევა

- სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა
- ავტომობილის დაზღვევა
- უძრავი და მოძრავი ქონების დაზღვევა

პასუხისმგებლობის დაზღვევა

- პროფესიული პასუხისმგებლობა
- სამოქალაქო პასუხისმგებლობა

დაზღვევა

დაზღვევის ხელშეკრულება

დამზღვევი	მზღვეველი	დაზღვეული
სადაზღვევო შემთხვევა	სადაზღვევო პოლისი	სადაზღვევო პრემია

დაზღვევის შეძენამდე გასათვალისწინებელი

- რისკის დადგომის რა ალბათობა არსებობს?
- დადგომის შემთხვევაში, რისკი რა ზარალს გამოიწვევს?
- რომელი სადაზღვევო კომპანიებია ხელმისაწვდომი?
- რა განსხვავებული სერვისები და სახელშეკრულებო პირობები აქვთ მათ?
- სადაზღვევო პრემიის რეგულარულად გადახდას შეძლებთ?

დაზღვევა

დაზღვევის ხელშეკრულება



დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე გასათვალისწინებელი:

- რა სადაზღვევო რისკებს ფარავს და რას არ ფარავს დაზღვევა?
- რამდენია სადაზღვევო ანაზღაურების სავარაუდო მოცულობა?
- რამდენია სადაზღვევო პრემია?
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგადი დებულებები და პირობები.
- როგორ უნდა იმოქმედოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას?
- რა შემთხვევებშია შესაძლებელი ხელშეკრულების შეწყვეტა?

დაზღვევა

ჯგუფური აქტივობა

- **ჯგუფი #1:** სამუშაო ფურცელი 4.1 ცხოვრებისეული რისკები
- **ჯგუფი #2:** სამუშაო ფურცელი 4.1 ცხოვრებისეული რისკები
- **ჯგუფი #3:** სამუშაო ფურცელი 4.2 დაზღვევის ტიპები
- **ჯგუფი #4:** სამუშაო ფურცელი 4.2 დაზღვევის ტიპები

15 წუთი

დაზღვევა

ჯგუფური დისკუსია

შეკითხვები

რეკომენდაციები

საკითხი 5:

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

თემატური საკვანძო შეკითხვები

- რა უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს ჩვენ, როგორც მომხმარებლებს?

თემატური მკვიდრი წარმოდგენები

- ჩვენ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები და პასუხისმგებლობები გვაქვს;
- პასუხისმგებლიანი ფინანსური გადაწყვეტილებები ჩემი მომავალი კეთილდღეობის საფუძველია.

ქვესაკითხები:

- მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა სფეროში.
- საფინანსო სექტორის მომხმარებლის უფლებები.
- მომხმარებლის პასუხისმგებლობები ფინანსური პროდუქტით სარგებლობისას.
- ვის მიმართოთ უფლებების დარღვევის შემთხვევაში?

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

სასწავლო მიზნები:

- მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათ, როგორც მომხმარებლებს, გარკვეული უფლებები აქვთ;
- მოსწავლეებს ესმით, რომ უფლებებს გარკვეული პასუხისმგებლობებიც ახლავს.

კომპეტენციებთან მიმართებით არსებული მოლოდინები:

- მოსწავლეებმა იციან საფინანსო სექტორის მომხმარებელთა ძირითადი უფლებები;
- მოსწავლეებს შეუძლიათ დაასახელონ მომხმარებელთა უფლებების დამცველი მარეგულირებელი ორგანოები და დაასახელონ ეროვნული ბანკი, როგორც ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებადამცველი;
- მოსწავლეებმა იციან, ვის მიმართონ, უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანი ცნებები: მომხმარებელი, მომხმარებლის უფლებები, მომხმარებლის პასუხისმგებლობები, პრეტენზია.

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მომხმარებლის უფლებები სხვადასხვა სფეროში

სამომხმარებლო ბაზრის მომხმარებელთა უფლებები	ფინანსური პროდუქტების მომხმარებელთა უფლებები	სადაზღვევო პროდუქტების მომხმარებელთა უფლებები
საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	საქართველოს ეროვნული ბანკი	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

!

საქართველოში, ფინანსური ორგანიზაციების მომხმარებელთა უფლებებს, საქართველოს ეროვნული ბანკი იცავს.

მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს:

- აუცილებელი
- გასაგები
- სრული
- უტყუარი
- თავისდროული

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მომხმარებლის უფლებები

- მიიღოთ სრული, ზუსტი, ადვილად გასაგები და თავისდროული ინფორმაცია
- თავად გადაწყვიტოთ, რომელი ფინანსური პროდუქტის შეძენა გსურთ
- თქვენთან ურთიერთობისას ფინანსურმა ორგანიზაციამ დაიცვას ეთიკის ნორმები
- მოითხოვოთ ხელშეკრულების ნიმუში მის ხელმოწერამდე
- დააფიქსიროთ პრეტენზია

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მომხმარებლის უფლებები

პრეტენზიის დაფიქსირება

ფინანსურ ორგანიზაციაში

- ზეპირსიტყვიერად
- ტელეფონით
- წერილობით
- ელექტრობულად

საქართველოს ეროვნულ ბანკში

(032) 2 406 406

cp@nbg.gov.ge

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

მომხმარებლის პასუხისმგებლობები

- გაეცნოთ იმ ფინანსური პროდუქტის ყველა პირობას, რომლის შეძენაც გსურთ
- ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა შემოთავაზება
- შეასრულოთ თქვენ მიერ შეძენილი პროდუქტის ყველა პირობა
- ფინანსურ ორგანიზაციას მიაწოდოთ ზუსტი და თავისდროული ინფორმაცია
- გაუფრთხილდეთ პერსონალურ მონაცემებს

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

ვის მიმართოთ უფლებების დარღვევის შემთხვევაში?

სამომხმარებლო პროდუქტი და მომსახურება

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

ვებგვერდი: www.gnca.gov.ge
მისამართი: 0102, ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N 154. ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”, მე-10 სართული
ტელეფონი: (032) 2 05 4422; 598 05 4422
ელ. ფოსტა: consumer@gnca.gov.ge

ფინანსური პროდუქტი და მომსახურება

საქართველოს ეროვნული ბანკი

ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
მისამართი: 0114, ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელეფონი: (032) 2 406 406
ელ. ფოსტა: cp@nbg.gov.ge

ან მომსახურე საფინანსო ორგანიზაცია

სადაზღვევო პროდუქტი და მომსახურება

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

წერილობითი განცხადება
მისამართი: 0162, ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. N3

ან მომსახურე სადაზღვევო კომპანია

შესვენება
16:20 – 16:35

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

ჯგუფური აქტივობა

- **ჯგუფი #1:** სამუშაო ფურცელი 5.2 სიტუაციის განხილვა - მომხმარებლის უფლებები
- **ჯგუფი #2:** სამუშაო ფურცელი 5.2 სიტუაციის განხილვა - მომხმარებლის უფლებები
- **ჯგუფი #3:** სამუშაო ფურცელი 5.3 მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები
- **ჯგუფი #4:** სამუშაო ფურცელი 5.3 მომხმარებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები

15 წუთი

მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები

ჯგუფური დისკუსია

შეკითხვები

რეკომენდაციები

დღის შეჯამება

რა იყო თქვენთვის სიახლე?

რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

რომელი საკითხი იქნება ყველაზე საინტერესო ბავშვებისთვის?

პოსტ-კითხვარის შევსება

გმადლობთ ყურადღებისთვის!